ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **პეტროს ვართანიან**

თანამდებობის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''

კომისი(ებ)ის დასახელება

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია

არჩევის წესი - (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - # 37.10 ახალციხის მაჟორიტარული ოლქი (სოფ. წყალთბილა)

საანგარიშო პერიოდი- 2021 წლის 03.12 -დან 2022 წლის 01.11 მდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

   03.122021 წ.-დან 01.11.2022წ.-მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 14

   საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 14

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2021 – 2022 წელს:
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 12, ესწრებოდა - 12 სხდომას.

   - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 10, ესწრებოდა - 10 სხდომას.

   მ/შ დროებითი კომისიები:
3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 3 სხდომა

   ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 3 სხდომა

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები - 0.
5. ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - დადგენილება - 0; ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 0 განკარგულება - 0.

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
   - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში-აგარა, გურკელი, ზიკილია, საყუნეთი, წინუბანი(აგარის), ანდა, ანდრიაწმინდა, წყორძა, თისელი, ტყემლანა, ანი, ელიაწმინდა, ჭვინთა, მინაძე, ღრელი, ჭაჭარაქი, საძელი, ხაკი, ზემო სხვილისი, სხვილისი, ივლიტა, მუსხი, ურაველი, ხეოთი, აბათხევი, ნაოხრები, წინუბანი(წყალთბილის), წყალთბილა, ჯულღა, მიქელწმინდა, წირა, წყრუთი - მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე;
   - „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მარტის №-13.13220902 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 7 შეხვედრა.

   მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემატიურად, როგორც სამუშაო ადგილზე - ყოველდღიურად, ისე გასვლით შეხვედრებზე.

   შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 240 მოქალაქე.

   მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:
   - სოციალური პრობლემები;
   - ინფრასტრუქტურული საკითხები - კონკრეტულად მოქალაქეები ითხოვენ გზების, სანიაღვრე არხებისა და გარე განათების მოწყობას;
   - ასევე მოქალაქეები ითხოვენ კომბაინის გამოყოფას.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

   მოქალაქეებთან შეხვედრების დროს გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, ჩემს მიერ მიმართული იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის შესაბამისი კომპეტენტურ პირებზე, მიმდინარეობს აღნიშნული საკითხების შესწავლა შემდგომი რეაგირების მიზნით.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

   თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.

- არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატ ქალთა საზოგადოებასთან" ჩვენი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების თანამშრომლობით ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალთბილის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივ მოსახლეობას ჩაუტარდათ უფასო გასინჯვები, რომელიც მოიცავდა: ექოსკოპია, მამოლოგია, თერაპია, გინეკოლოგია ონკოლოგიურ კვლევებს.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გავეცანი, ქ. ახალციხეში რუსთაველის ქუჩა № 124-ში, სპორტული კომპლექსის, ახალგაზრდული ცენტრისა და სკვერის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას, ხელოვნური ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე პროექტის ფარგლებში ტურისტული ინფრასტრუქტურის, სპორტული და საბავშვო გასართობი მოედნების, საფეხმავლო ბილიკების, ტბასთან მისასვლელი გზის პროექტის განხორციელებას, ასევე სპორტული კომპლექსის მშენებლობას.
- მონაწილეობას ვღებულობდი „საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე, რომელიც ეხებოდა ნატო საქართველოს ურთიერთობებსა და არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობას.

შევსების თარიღი ----28.10.2022წ.

წარდგენის თარიღი 28.10.2022წ.

ხელის მოწერა----------